



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 05

2018 წელი 18 იანვარი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სალიბაურში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.22.15.116) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 4 იანვრის N5/565 მომართვის საფუძველზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სალიბაურში მდებარე 447 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 22.22.15.116)
2. ეთხოვოს სახელმწიფოს უზრუნველყოს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე